ლომისი

რედ[illegible]ცია:
ტფილისი, ხ[illegible]თა სასახლე სერგეევის ქ[illegible] ტელ. 1751.
[illegible] ხ. მ. უ. პოლიგრაფ[illegible]
მე 5 სტამბა, ს[illegible]

სამი თვით 50 ათას[illegible] მანეთი.
განცხად[illegible]ის ფასი მორიგებით.

ფასი 5000 მან.

შინაარსი
მიმავალ წელიწადს ლეო ქიაჩელი.
ქართული გულგრილობა მკითხველი
წერილი ბერლინიდან აკაკი პაპავა
შენიშვნა პ. ინგოროყვას მოხსენების გამო გ. ჩ.
ჩემი მოგონებანი—ხომლელი
ჩემი ქართული დრამა—მეთვალწურე.
„დამზრალი წალკოტი"—გურგენიძის დრამა-შალვა გომართელი. ოპერის კვირეული—ინენ.
ლექსები: ვ. რუხაძის, დ. ახვლედიანის, ბაბილინასი ნინო თარიშვილის
ტერენტი გრანელის, მოსაშვილის, შ. ჯანბერიძის
ფელეტონი: ქართული ხალხური სიმღერები—ძუკუ ლოლუასი.

კვირა დეკემბრის 24, 1922 წ.

№ 17. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 17.

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ

დიდი ლატარიის

მომწყობი კომისია

აცხადებს საზოგადოების და პროვინციის ლატარიის ქვე-კომიტეტების საყურადღებოთ, რომ ლატარიის გათამაშება

გადადებულია 1923 წ. თებერვლის

20-სათვის

კომისია

ქართული აკადემიური დრამა

კვირას, დეკემბრის 24-ს

გედევანიშვილის პიესა

სინათლე

დადგმა კ. ანდრონიკაშვილისა.

დასაწყისი 8 საათზე.

სახალხო აკად. თეატრი ოპერა

კვირას, დეკემბრის 24-ს

პიკის ქალი

რეჟ.—ბოგოლიუბოვი

დირ. ივ. ფალიაშვილი

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო

აცხადებს, რომ მიმდინარე წლის დეკემბრის 29 განზრახული

მორიგი წლიური

კონფერენცია

გადაიდო

კონფერენციის მოწვევის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი.

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო

„ორიანტი"

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტი № 9.

საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი.

სასტუმროსთან რესტორანი

ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო

მზარეულთა ზედამხედველობით.

საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები სადილები ეძლევა ყველას 2—5½ საათამდე

ფასები დაკლებულია.

მიმავალ წელიწადს

წარსულის წიაღისკენ, მიექანება მიმდინარე წელი. ჯერ კიდევ მოსჩანს ჰორიზონტზე წითელ ფერად მისი სილუეტი.

უცნაური იყო იგი.—მისი შეცნობა შორეულ მომავლის საქმეა.

ჩვენ წინ გაიარა შერეულის ნაბიჯებით, გიჟური სურათით, რომელიც ხან ცივად შემოგვიბღვირდა, ხან კიდევ ცხელად, ხოლო ორივე შემთხვევაში იყო [illegible] სურათი მისი და უფსკრულის ქარიშხლით გაქანებული.

გულმაგრობა იყო საჭირო მის წინაშე, ვინაიდან ძარღვი და ხერხემალი რკინისა; ვინაიდან უფრო მისი სცემდა უმთავრესად იმედების გულბოყვს და დაუზოგველი იყო ხარხარი მისი ყოველ ყოყმანზე.

საქართველოს უთუოდ არა აქვს რკინის ხერხემალი, არც ძარღვი მისი რკინისა და გულიც... ხოლო მიუხედავად ამისა საქართველომ გაუძლო მის ალღს.

ეს საიდუმლოებაა ჩვენი ეროვნული. საკვირველია და ჯერ კიდევ შეუცნობელი ის უცნაური ნივთიერება, რომლისგანაც აგებულია საქართველოს ეროვნული სხეული. ყოველ შემთხვევაში იგი რკინასა და ფოლადზე უფრო მძლეა და ელასტიურია როგორც არც ერთი ქვეყანაზე ცნობილი ნივთიერებათაგანი და [illegible] საქართველომ ეს წელიც ჩაატარა თავის წინ როგორც არა ერთი და ორი ჩაუტარებია საუკუნეთა განმავლობაში.

ჭეშმარიტება მრავალია ქვეყანაზე, ხოლო ყველაზე უფრო დიდი ჭეშმარიტება ის არის, რომელსაც ცხოვრება ეწოდება. საქართველო ყველა ჭეშმარიტებას [illegible] ამ მრავალ [illegible] ინდივიდის განაჭედი. იგი ახლაც [illegible] ხელით ქართველ ხალხს და გამორჩენით თუ უგონოდ-ყოველ შემთხვევაში [illegible] სცემს ჟამთა უსაზღვროობიდან მომავალ ნაირ-ნაირ საუკუნეებს...

ეს წელიწადიც მიდის...

მის წიაღში დატრიალებული ჩვენი მოქმედება ეროვნულ კულტურის ფრონტზე არ იყო დამაკმაყოფილებელი. მაგრამ დიდი ფუსფუსი კი სწორედ [illegible] იგი ბევრის მეტყველი იყო.

მაგრამ ჩვენ მაინც ვაცილებთ მიმავალ წელს ქართული გადაძახილით:

„მშვიდობით"

მომავალს გვინდა დაუმეგობრდეთ.

ლეო ქიაჩელი

ქართული გულგრილობა.

არას დროს არ მახსოვს ქართველი საზოგადოება ასე გულცივი კულტურულ საქმიანობისადმი.

ყოველის მომთხოვი-თვით არაფრის მიმცემი.

მომლოდინე, თითქოს ვიღაცამ უნდა იზრუნოს მისთვის, ვიღაცამ უნდა ულოლიაოს.

და ამასთან ერთად ქართული საზოგადოება შეიქნა რაღაც ჭირვეული.

არაფერი არ აკმაყოფილებს მას, არაფერი იტაცებს.

მაგრამ თვით ფაქტები ავამეტყველოთ.

ვინ არ იცის რა მდგომარეობაშია დღეს ქართული მწერლობა. მაგრამ ამასაც გავანებოთ თავი.

ვინ არ იცის რა აუტანელი ხარჯები მოსდევს დღეს რაიმე გამოცემას.

მაგრამ თუ კულტურული ხალხი ვართ, ხომ უნდა დავძლიოთ ამ დარგში მაინც ყოველ გვარი დაბრკოლება?

და აი იმ იმედით, რომ ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება ქართულ პერიოდულ გამოცემების საქმეს, მწერალთა კავშირი იწყებს ჟურნალ „ლომისის" გამოცემას.

მაგრამ აარიდა ჟურნალს თვისი თანაგრძნობა ქართველმა საზოგადოებამ და მეშვიდე ნომერზე დაიღუპა იგი.

შემდეგ რომ უფრო ფართო საზოგადოება ყოფილიყო დაინტერესებული საქმით, იცემა ყოველ კვირეული გაზეთი იმავე სახელწოდებით „ლომისი" და აი ეს გაზეთი სცდილობს შეეხოს ყოველ მტკივნეულ საკითხს, ყოველ დარგს კულტურულ სფეროში.

მაგრამ სადაა ეს თანაგრძნობა, სადაა ის ძმური ხელი, ურომლისოდაც არაფრის გაკეთება არ შეიძლება!

ამას ჩვენ ვერ ვხედავთ.

[illegible] „ლომისი" ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდეს, რატომ არ შეიძლება მონაარსის გაუმჯობესება. რატომ არ შეიძლება ამ გაზეთის ირგვლივ მეტი ლიტერატურულ ძალების შემოკრება?

და დაუსრულებელია ეს საყვედური. მხოლოდ რას შვრება თვით ეს ყოვლის მომთხოვი საზოგადოება? არის მზათ აღმოუჩინოს დახმარება, თანაგრძნობა, შეუწყოს ხელი ამ კულტურულ საქმეს?

განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ტფილისი და მასთან ერთად ქართველი საზოგადოება რამოდენიმე პერიოდულ გამოცემებს აზსარდოებდა? დღეს-კი ქართველ საზოგადოებას იმოდენი შეძლება აღარა აქვს, რომ ამ ერთად ერთი გაზეთის ტირაჟი იმ დონემდე აიყვანოს, რომ გამოცემის ხარჯები დაფაროს!

ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ ტფილისში ქართულ პერიოდულ გამოცემათა შორის „ლომისი" ყველაზე მეტი სალდება, მაგრამ იცით, რომ ამ ყველაზე მეტად გავრცელებულ გაზეთის ტირაჟი 1000-ს [illegible].

მე არას ვამბობ პროვინციაზე; ნუ თუ ტფილისში 2000 ქართველი მკითხველი მაინც არ მოიპოვება, რომ კვირაში 5000 მანეთი გამოიმეტოს ისეთ საქმისათვის? ნუთუ ტფილისში ამ გაზეთს ორი ათასამდე ხელის მომწერი მაინც არ უნდა ჰყავდეს?

აი ახლოვდება ახალი წელი.

ბუნებრივია „ლომისის" ხელმძღვანელნი ფიქრობდენ მომავალ წლიდან გაზეთის ფორმატის გადიდებას, ყოველ დღიურად გადაკეთებას და სხვა, ნაცვლად კი აქედგანვე ეჭვი იპყრობს ყველას, შესძლებს თუ არა გაზეთი არსებობას მომავალ წლიდანაც, თუ 1923 წელს ვეღარ იხილავს „ლომისი"?

ასე სდგას დღეს საკითხი. შესაძლოა მან ვეღარ გაუძლოს ხარჯებს და სული განუტევოს.

ეს კი დაღუპვა იქნებოდა არა მარტო გაზეთის, რომელიც ერთად ერთია დღეს ქართულ საზოგადოების ხელის კვეთების გამომხატველი, ეს იქნებოდა დამბლა ქართული კულტურის.

ვნახოთ, რას მოისურვებს ქართული საზოგადოება, შეეცდება მომავალი წლიდან მაინც მიიღოს მონაწილეობა კულტურულ საქმიანობაში თუ ისევ გულგრილობას გამოიჩენს.

ვნახოთ ქართველი საზოგადოება მოისურვებს, ქართული კულტურა დაღუპვისაგან [illegible] მოაქციოს, თუ ყოველ ღონე [illegible] გამოაცალოს.

„ლომისის" მოთხოვნილება უნდა ავიდეს 3000 ცალამდე მაინც, ისე მისი არსებობა შეუძლებელია. „ლომისს" უნდა მისცენ თავიანთი განცხადებანი ქართულმა კულტურულმა და სავაჭრო-საწარმოო დაწესებულებებმა, ისე გაზეთი ვერ იარსებებს. ქართულ გაზეთის მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს ქართველმა საზოგადოებამ, გარეშე პირთაგან იგი სუბსიდიას ვერ მიიღებს. არც მიიღებს. მოუწოდებთ ქართველებს მოვალეობისაკენ!

მკითხველი.

წერილი ბერლინიდან

მწერალთა კავშირს.

ძვირფასო ამხანაგებო!

მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი და საუკეთესო, წრფელი გრძნობანი...

მე რამდენიმეჯერ გწერდით, მაგრამ საწუხაროდ, პასუხი აქამდე არა მაქვს.

ახალი ამბავი: ამ მოკლე ხანში ქ. ბერლინში ჩვენ მოვახდინეთ I კრება ქართველ მწერალთა. აღმოჩნდა, რომ ამჟამად აქ იმყოფებიან 15 წევრნი მწერალთა კავშირისა, რომელნიც მანდ ჩვენს სიაში იყვნენ შეტანილნი. ჩვენ ამ საორგანიზაციო კრებაზე ავირჩიეთ პრეზიდიუმი: ვიშოვეთ ბინა და შევუდექით კიდეც მუშაობას. ჩვენი თავი გამოვაცხადეთ [illegible] მწერალთა კავშირის [illegible] თქვენს წინაშე. კრებამ ერთხმად [illegible] სალიტერატურო და სამეცნიერო თემებზე. მოწონებული მოხსენება იკითხება შემდეგ საჯაროდ მთელი კოლონიისათვის რომელსაც ბერლინში ორასამდე წევრი ჰყავს. უკვე იყო ასეთი მოხსენება ამას წინად, ძლიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. განზრახული გვაქვს წმინდა ლიტერატურული ჟურნალი ([illegible]) გამოვსცეთ, რომელსაც [illegible] თქვენ მოგაწვდით, რასაკვირველია, ვფიქრობთ მანდ ხელისუფლება არავითარ დაბრკოლებას არ გაგვიწევს, რადგან ვიმეორებთ-ორგანო წმინდა სალიტერატურო იქნება. ამას გარდა აქ ჩვენ გვაქვს [illegible] ლიტერატურულ წრეებთან (განსაკუთრებით უკრაინულ და პოლონურთან) კავშირი [illegible].

ეხლა ამხანაგებო, ყველაფერია დამოკიდებული თქვენზედ: თუ ჩვენ მოწყვეტილი დავრჩით მომავალშიაც მანდაურ მწერალთა კავშირიდან, რასაკვირველია, არაფერი გამოვა და ორივე მხარე ამით ბევრს წავაგებთ. ჩვენთვის უმთავრესი ლიტერატურა. აქ არაფერი არსი მოიპოვება გარდა ი. გრიშაშვილის II ტომისა და „ილიონის" ერთი ნომრისა, რაც შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში. ყოველი თქვენი სტრიქონი ჩვენთვის დიდად საინტერესოა და ამიტომ [illegible] ერთგვარი სისტემა მიეცით ჩვენთან მიწერ-მოწერას და ლიტერატურის მოწოდებას. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, ვისწავლოთ ყოველი ახალი მიმდინარეობა და [illegible] განვითარება [illegible] ჩვენს [illegible] რასაკვირველია, [illegible] ჩვენს ნაწარმოებს [illegible] ვფიქრობ, რომ [illegible] შესაძლოა ამ გამოცემების ჩვენთვის გადმოგზავნა: შესაძლოა საქმე მოეწყოს [illegible] და [illegible] (მატერიალურ დახმარების და ზოგი წიგნების გამოცემის სახით). ჩვენ გვაქვს [illegible] გამოცემათა შესახებ. თუ თქვენ [illegible], ეს დიდი გამაგრება იქნება ჩვენი პოზიციების. ახლად გვაქვს სხვა და სხვა ქვეყნის მწერალთა კავშირებს მივმართეთ მორალურ და მატერიალურ დახმარებისათვის. ვიმეორებ, [illegible] დიდი საქმე გამოვიდეს და [illegible] ჩვენს მწერლობას [illegible] ვიცით, რომ ეხლა ჩვენში [illegible] გამომცემლობის მრავალი [illegible] იბეჭდება, მაგრამ ის თითქმის არაფერი [illegible] მაინც რაც არის უნდა გადმოგვიგზავნოთ, [illegible] და [illegible] გორც კი შეგეძლოთ.

ამხანაგურ მწერლებს. დავალებით **აკაკი პაპავა**

შენიშვნა

პ. ინგოროყვას მოხსენების გამო

უკვე რამოდენიმე საუკუნეა მას შემდეგ, რაც საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრების წინაშე წამოჭრილია პრობლემა „ვეფხის ტყაოსნისა". მრავალ თაობათა აუწყველი შრომა და რუდუნებაა დახარჯული მის გადასაწყვეტად. ნანუჩადან მოკიდებული და გათავებული თანამედროვე მეცნიერების მეთოდებით აღჭურვილ მარი—ჯავახიშვილით საქართველოს ინტელექტუალურ ძალების წარმომადგენელნი ცდილობდენ ამ პრობლემის დაძლევას. და არა თუ ნანუჩადან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრობლემა იგი დასახულია საქართველოს წინაშე თვით „ვეფხის-ტყაოსნის" წარმოშობის მეორე დღიდან.

ეს არც გასაკვირველია.

შეუცნობლად თუ შეცნობილად თითქმის ყოველი მოაზროვნე ქართველი გრძნობდა და გრძნობს, გრძნებით სჭვრეტდა და სჭვრეტს, რომ „ვეფხის-ტყაოსანი" საქართველოს კულტურის ცენტრალი ფოკუსია, რომ მასშია გადატებილი არა თუ ოდენ საქართველოს კულტურული შეძლებულობა, არამედ მასშივეა მოცემული ქართული სულის შესაძლებლობა [illegible] გამოხატულება ჩვენი რასიული რაობის და თუ გნებავთ, ჭეშმარიტად მასშივეა მოცემული ჩვენი მეობის სტატიკა და დინამიკაც.

მაგრამ „ვეფხის-ტყაოსნის" პრობლემა—მხოლოდ პოემის ამბავის და ავტორის საკითხებს როდი შეიცავს. ეს არის პრობლემა ფართედ გაგებულ „ვეფხის-ტყაოსნის" კულტურისა. ეს არის საკითხი ჩვენი ერისა, ჩვენი ხასიათისა, მსოფლიოს თვისებისა და ფილოსოფიურ ხედვისა. „ვეფხის-ტყაოსანში" მოცემული კულტურის გამორკვევა და ნათელ ყოფა—აი, ძირითადი, კარდინალური პრობლემა „ვეფხის-ტყაოსნისა".

სამწუხაროდ წინამორბედნი მკვლევარნი საკითხის შესწავლასა და გადაწყვეტაში ვერ იჩენდენ სათანადო მიუკერძებლობას და მეცნიერულ მეთოდოლოგიის ცოდნას. პირიქით თუ პოემა პოეტის ფანტაზიის ნაყოფი იყო—საკითხის მკვლევარნი ნაცვლად მიუდგომელ კვლევა ძიებისა პოემას ზედ ურთავდენ თავისი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფს, რაც, რასაკვირველია, პოემის პრობლემას კიდევ უფრო აბნელებდა და ბლანდავდა. რომ არ გამოუდგეთ არჩილ მეფის და სხვათა ამგვარ აზრების ჩამოთვლას „ვე[illegible]

[illegible]

საკითხს, ესე ვთქვათ, ერთი კალმის მოსმით სწყვეტდა, მაგრამ იგივე ბ. მარი ადრე დარწმუნდა, რომ ასეთი გზით სვლა ყოვლად შეუძლებელი იყო და მან პირი იბრუნა „ვეფხის-ტყაოსნის" რეალიების შესწავლისაკენ.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ბ. მარმა მრავალი ხნის და მრავალმხრივი ფილოლოგიური მომზადების შემდეგ ჯერ გამოსცა თავი, კარგად ცნობილი, „Вступительныя и заключительныя строфы" etc. და შემდეგ 1914—1915 წლებში შეუდგა „ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ფილოლოგიურ განხილვას.

ეს გახლდათ სრული გადატეხა „ვეფხის-ტყაოსნის" პრობლემის შესწავლის საქმეში. ნაცვლად თეორეტიული, სპეკულიატიური მსჯელობისა და ფანტაზიის ამუშავებისა, რაც თავის თავად იოლი საქმეა, რეალიების ძიების შავმა სამუშაომ წამოყო თავი. ამეტყველდენ „ვეფხის-ტყაოსანში" დაცულნი კულტურული ღირებულებანი და დაირხა იმედი „ვეფხის-ტყაოსნის" პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობისა.

ბ. [illegible] მოხსენებაში, ამა წლის 17 დეკემბერს ხელოვნების სასახლეში, „ვეფხის-ტყაოსნის" ასეთი რეალიების ერთს რკალს შეეხო—სახელდობრ „ვეფხის-ტყაოსნის გეოგრაფიას.

ბ. მომხსენებელი სავსებით დარჩა რეალიების ნიადაგზე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მოხსენების ბოლო ნაწილს თეორეტიულ დასკვნებს, რომელთაგან ზოგი სადაო შეიძლება იყო. მოხსენების საგნის მიხედვით ბ. მომხსენებელმა თითქმის ამოწურა მუსულმანთა საგეოგრაფიო ლიტერატურა, მოიხმო 12—13 საუკუნეთა ქართული გეოგრაფიული ცნობები და „ვეფხის-ტყაოსნის" კარდინალურ საკითხების შესახებ კატეგორიული დასკვნები წარმოადგინა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი კატეგორიული დასკვნების გაკეთების დრო ჯერ არ დამდგარა. მხოლოდ, როდესაც ყოველმხრივ შეისწავლება „ვეფხის-ტყაოსნის" ყველა რეალიები, როდესაც აღდგენილ იქნება ტექსტი, მიკვლეული იქნება ავტორი, უთავრესი წყაროები, გარკვეული იქნება დროისა და ადგილის გავლენა მასზე და სხვა—მხოლოდ მაშინ შეიძლება გარკვეული, გადამწყვეტი სახის დასკვნების გამოტანა. ვიდრე ეს სამუშაო არ იქნება გაკეთებული [illegible]

მაგრამ თავი რომ დავან[illegible] დასკვნებს უნდა აღვნიშნ[illegible] მოხსენების პირდაპირი [illegible] ყოველმხრივ გაშუქებულ[illegible] იმის თქმა გვინდა, რომ [illegible] ლი „ვეფხის-ტყაოსნის" [illegible] რეალიების კვლევის [illegible] მხოლოდ სამუსულმანო [illegible] ცნობებს და უგულებელ[illegible] გეოგრაფიო ცნობები. [illegible] აღძრულ რეალიების ფა[illegible] შეიძლებოდა უტყუარ და[illegible]ტანა. პირიქით, ცალმხრი[illegible] ლი საკითხი, ცხადია, [illegible] კვნებს მიიღებდა. ყოველ[illegible] შთაბეჭდილება ასეთი იყო, [illegible] ქოს „ვეფხის-ტყაოსანის" [illegible] ძრულ საკითხში მხოლოდ [illegible] აღმოსავლეთის წყაროებ[illegible] ლობდა.

მაგრამ ასეთი დასკვნა [illegible] ნებელისათვისაც მიუღებე[illegible] ეს ხომ გადაჭარბებული [illegible] resp მუსულმანიზმი იქნებ[illegible] არსებითად კი საქმე იმ[illegible] რომ გარდა სამუსულმანო [illegible] თისა იმ დროინდელ მსო[illegible] პობდენ აგრეთვე სხვა [illegible] ცენტრებიც. პირველ ყ[illegible] იგივე აღმოსავლეთი არ [illegible] მხოლოდ სამუსულმანო [illegible] მედ იმავე აღმოსავლეთში [illegible] რიულ-ქრისტიანთა მძლა[illegible] დებელი კულტურული ცე[illegible] თა ადეპტები, პირველ [illegible] რწმუნოების მიზნით, შორეულ [illegible] ლეთში, ჩინეთში და სხ. მათ [illegible] კოლონიებს აარსებდენ [illegible] კულტურულ დაღს აღბეჭდ[illegible] ლობრივად.

აქვეა მოსატანი ბიზანტიაც, [illegible] ტია, რომელიც უშუალო [illegible] მოკიდებულებაში იყო შორ[illegible] სავლეთთან, უამრავ საქმ[illegible] ლობდა მსოფლიოს თითქმის ყველა მხარიდან და შორეული ჩინეთი კი, გარდა აბრეშუმის ქსოვილებისა, თვით აბრეშუმის ძაფს, რომელსაც ბოსფორის ქარხნებში ქსოვდა და ნაქსოვს ევროპას აწვდიდა.

ვინაიდან ბ. მომხსენებელი „ვეფხის-ტყაოსნის" საგეოგრაფიო რეალიების კვლევამ, სხვათა შორის, შორეულ აღმოსავლეთში მიიყვანა—კარგი იქნებოდა ამათი ცნობებითაც ესარგებლა. ამით მოხსენება მთლიან სახეს მიიღებდა და უფრო სრული იქნებოდა. საქართველოს მე-XII საუკუნის კულტურა იმდენად დამოუკიდებელი და თვითმპყრობელობითი იყო, რომ მისი რომელიმე ერთი კულტურის გავლენის ქვეშ ყოფნა ყოვლად წარმოუდგენელია. პირიქით, ის ყველა კულტურებისაგან ღებულობდა მისთვის საჭირო ღირებულებათ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასევე უნდა ყოფილიყო მსოფლიო გეოგრაფიის შესახებაც. ამას ნათლად გამოაჩენდა სხვადასხვა კულტურების გეოგრაფიული ცნობების „ვეფხის-ტყაოსნის" ცნობებთან შედარება. ეს შედარება უტყუარ [illegible] „ვეფხის-ტყაოსნის" საგეოგრაფიო რეალიების [illegible]ის შესახებ.

მაგრამ მოხსენებაში გარკვეული საკითხები, მიუხედავად იმისა, რომ მათ აკლიათ ძირამდე დაყვანილი კვლევის სრულობა იმდენად მრავალ შინაარსიანია და მრავალ მნიშვნელოვანი, რომ მომხსენებელი გულწრფელი მადლობის ღირსია. ჩვენ მივესალმებით პოემის რეალების კვლევაში გადატანას „ვეფხის-ტყაოსნის" პრობლემისას, ვინაიდან სწორედ ამგვარ კვლევა-ძიებისაგან [illegible]ევრს გამოველით. ვფიქრობთ, რომ ჩვენს აკადემიურ წრესაც მართებს ამ მიმართულებით ხელის გაღება და უნარის გამოჩენა.

ვ. ჩ.

ჩემი მოგონებანი

([illegible] აზრი).

გაბრიელი, [illegible] იმერეთისა*)

გაბრიელ ეპისკოპოზი ეკუთვნის [illegible] წლების თაობას, რომელსაც [illegible] მეთაურობდენ: გოგოლი, [illegible] და გერცენი.

რუსეთში ბესარიონ ბელინსკი[illegible] ლი თაობა იყო დაუძინე[illegible] ბატონ-ყმობისა, რომელსაც [illegible] ძლევდენ: ფამუსოვები [illegible] ჩიჩიკოვები და [illegible]

[illegible]იანს მდუღარე საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომლის თავისუფალი ვითარება სასწაულებს ქმნის ისტორიაში. ბატონყმობის კულტურას მეთეორებივით გამოჰყვდა ცხოვრების არენაზე თითო ოროლა დიდ ბუნებოვანი, დიდი ტალანტის პატრონები ჩვენშიაც და რუსეთშიაც, მარა ცხოვრება უსაზღვრო, ვრცელი, [illegible]

ამ ბატონ-ყმურ ცხოვრებას რუსეთშიაც და ჩვენშიაც კრიჭაში ჩაუდგა მოწინავე თაობა, რომელსაც, მიუცილებლათ, ეკუთვნოდა გაბრიელი და იგი შეუპოვრათ, ანთებულის გულითა და რაინდობით გამოვიდა მის წინააღმდეგ საპრაპაგანდოთ, საქადაგებლათ.

ეს ისტორიული გარემოება მშვენიერათ გაიგო და შეაფასა გერცენმა თავის სიტყვებით: „ქადაგება გაისმოდა სულ ძლიერათ და ძლიერათ... სულ ყოველის ფერი ქადაგებით გადაიქცა... სიცილიც, ტირილიც, სიტყვაც, წიგნიც, ისტორიაც—ყველაფერი მოუწოდებდა ხალხს თვისი მწარე მდგომარეობის შესაგნებლათ, ბატონყმობის უბედურების თავიდან მოსაშორებლათ. ყველაფერი უჩვენებდა, მეცნიერებასა და განათლებაზე, რომ ყოველგვარ ტრადიციონულ ბორკილებისაგან განსპეტაკებით აზრი, გაეთავისუფლებით სინიდისი და გონება და ყველა ამ ამბების ცოცხალი წყარო შეიქნა გალვიძებული გული"...

გაბრიელ ეპისკოპოზის ამ ქვეყნიური მოღვაწეობის ასპარეზი იყო კათედრა და სკოლა. ამ ორს საგანს შესწირა მან თვისი მდიდარი ცხოვრება და თავის არსებასაც აქ მოუძებნა ბრწყინვალე შარავანდედი... იგი იყო პირველათ კახეთში ალავერდის ეპისკოპოზათ, შემდეგ ქართლში გორის ეპისკოპოზათ და მერე დაინიშნა თუარა იმერეთის ეპისკოპოზათ. მან მოიარა ტაბა სოფლები და ყველგან ეკლესიასთან გაახსნევინა სკოლები. ყოველ წელიწადს ათვალიერებდა გაბრიელი ამ სკოლებს, შეგირდების გამოცდებზე ესწრობოდა და რევიზიასაც უკეთებდა. თავის საკუთარ სოფელ ბახვში, თავის ხარჯით, სამაგალითო სასწავლებელი დაარსა მთელ გურიაში. გაბრიელ ეპისკოპოზმა დაარსა ქუთაისში სასულიერო სემინარია და ქალთა ეპარქიალური სასწავლებელიც. სიკვდილს შემდეგ, მღვდელმთავარმა ქართულ მოსწავლე ახალგაზრდობას უანდერძა 40.000 მან. და ამითაც უკვდავ ჰყო თვისი სახელი.

გაბრიელ ეპისკოპოზის ორ დიდ ტომათ დასტამბული ქადაგებანი, რუსთველის „ვეფხის ტყაოსანივით", გადათარგმნილია ინგლისურ ენაზე და დიდი ბრიტანეთის უშველებელი იმპერიის შორეული კუნძულების უთვალავი მცხოვრებლები ღრმათ განიმსჭვალებიან და სარგებლობენ ჩვენი სახელოვანი მოღვაწის ძვირფასი ქადაგებებით.

ოთხმოც და ათიან წლებში, ჩვენმა სა[illegible]

[illegible]კოპოზის ქადაგებანი და თავის ვრ[illegible] შესანიშნავს სტატიებში დაამტკიცა [illegible] გაბრიელის აზროვნება, დიდ-დიდ [illegible]თა ქადაგება უფრო მაღლა დ[illegible] ვიდრე რუსეთის ფილოსოფოსის [illegible] ტოლსტოისა...

მე წამიკითხავს გაბრიელ ეპისკო[illegible] შესანიშნავი პასუხი, რომელიც მან [illegible]ცა გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელს, [illegible]მელიც ამტკიცებდა, რომ ძლიერი [illegible]სეთის ენა და კულტურა უშველა[illegible] [illegible]ყლაპავსო უფრო სუსტი ქართ[illegible] ერის ენას და კულტურასო. წაკით[illegible] მაქვს გაბრიელის წერილები ქართვე[illegible]ბის მტერის, რუსიფიკატორის-იან[illegible]კის წინააღმდეგაც. როიევს ამლევს [illegible]დათ დასაბუთებულს, ძლიერს, მ[illegible] გრძნობებით დაწერილს და ღრმა[illegible] [illegible]ცინავი კილოთი აპრიალებულს [illegible] და წამკითხველი თავის დღეში ვერ [illegible]ვიწყებს ამ წერილებს.

გაბრიელმა არქიმანდრიტობაშივე [illegible]ტამბა რუსულ ენაზე შედგენილი [illegible]ტანიანი წიგნი „ოპიტნაია ფსიხ[illegible]გია", რომელსაც ყურადღება მი[illegible] ნ. დობროლიუბოვმა და შეაქო იგი, [illegible]ცა ავტორს უსაყვედურებდა დუალ[illegible]. გაბრიელ ეპისკოპოზი იყო დიად[illegible] საკვირველი იდეალი, რომლის ცე[illegible] [illegible] შეუპოვრათ ამხილებდა ჩვენ [illegible]ბაში ღრმათ ფესვგადგმულ ბიწიერ[illegible] და ბოროტებას. ეს იყო პირდაპირ [illegible]ველ მოციქულთა მსგავსი ადამიანი, [illegible]დი და ვრცელი ფილოსოფიური განა[illegible]თლებით აღჭურვილი, კაცი წმიდა, [illegible]დეილი და ჭეშმარიტი ღვთიური [illegible]ხვისა და მსჯავრისა. კლდესავით მ[illegible]უველი და მტკიცე ხასიათის, ძლიერი, წარმშვენებული, აღტაცებული და მომხიბვლელი მქადაგებელი სახარებისა. თვით უმდიდრესი სულიერი არსება, მთელი ტემპერამენტი გაბრიელისა, როგორც იშვიათი რჩეული ადამიანისა ფრიად ორიგინალური, თვითმყოფი [illegible]სებისაა და წარმოადგენს დიდათ რთულ მოვლინებას ჩვენს მეცხრამეტე საუ[illegible]ნის ისტორიაში.

ეს გარემოება ხმა მაღლა ყურში ჩასძახის ქართველობას, რომ უკვდავე[illegible] მადლი არ გამქრალა საქართველოს [illegible]მარეზე და გულში ღრმათ გვინერგავს იმედს, რომ დიდათ სანატრელი მომავალი აქვს ივერიას, რომელმაც, იმ დროინდელ უბედ-იღბლობაშიაც-კი, შესძლო წარმოეშვა ისეთი მდიდარი, შესანიშნავი ჰევრ-მეტყველობით აგზნებული და მთის ნიაღვარსავით წამომდ[illegible]

[illegible]

ქართული ხალხური სიმღერები.

უწინარეს უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც საერთოდ, ისე ჩვენშიაც არის ტენდენცია საერთაშორისო უკანასკნელ განვითარებამდე მისული მუსიკით გატაცების და ეროვნული—ხალხური მუსიკა კი მივიწყებას ეძლევა.

მე ვერ ვიწამებ, რომ ჩვენს სახალხო მუსიკას გადაგვარება, გაევროპიელება სჭიროდეს და საჭირო არ იყოს მისი იმ ფორმით და შინაარსით შენახვა, როგორისაც ის თავიდანვე იყო. თუ ჩვენს ხალხოსნურ მუსიკას გადავაკეთებდით, მაშინ მას ეროვნულ სახეს, სულს და ხასიათს დავუკარგავდით,—საჭირო კი იყო და არის მისი მშობლიურ-ორიგინალურ კალაპოტში დატოვება და, თუ გნებავთ, განვითარებაც—მაგრამ არა ისე, რომ მას თვისი შინაარსი, სახე და ხასიათი გამოვაცალოთ.

ნურავინ დაგვწამებს, რომ თითქო ჩვენ უარს ვყოფდეთ ევროპის კულტურას და ევროპიულ მუსიკის წინააღმდეგი ვიყოთ. არც განვითარებულ მუსიკისადმი მისწრაფება გულისხმობს ეროვნულ ხალხოსნურ მუსიკალურ განძის უარყოფას, მის მოსპობას—პირიქით კიდევ ვიტყვი, რომ ეროვნული, სახალხო მუსიკა არის ერთად ერთი გზა ერის დახასიათებისა, მისი ღირსებისა და ნიჭის დაფასების, მისი გაცნობის და დაახლოვების და სავალალოდ—ჩვენში ამ დარგს ხელოვნებისას ვერ და არც ექცევა ჯეროვანი ყურადღება—ხშირად ვერ ამჩნევენ, რა არის თავისი და რა არის სხვისი ან თუ ამჩნევენ—თავისას მაინც მივიწყებას აძლევენ და სხვისით იხიბლებიან.

ჩვენი ხალხური უამრავი ჰანგები სამიკიტნოების მონოპოლიიდან უნდა გავანთავისუფლოთ, ჩამოვაყალიბოთ და ხელოვნების ტაძარში უნდა შევიტანოთ—ამისათვის საჭიროა უკუგდება იმ დაუდევრობისა და გულგრილობის ამ საშვილიშვილო საქმისადმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ხანამდე.

პირველ ყოვლისა ამისათვის რა არის საჭირო? ნურავინ იფიქრებს, რომ სახალხო მუსიკის და პოეზიის შეგნება—მოკრება, მოგროვება კაბინეტების საშუალებით იყოს შესაძლებელი.

ამისათვის საჭიროა თვით ხალხის წრეში—მისი საიდუმლოების გაგება [illegible] ლებით, მისი შეკრება, თავის მოყრა და სათანადო დალაგება და დანაწილება—, ამ მიმართულებით, ერთსულოვანი მუშაობით—პატარა რამეც ბევრს ნიშნავს და ბევრს ნაყოფს მოიტანს.

აქ მე მსურს შევჩერდე იმაზე თუ როგორ აფასებს ევროპა თავისს ეროვნულ სიმღერა-ცეკვა-თამაშს.

ერთი ქართველი შემდეგ ნაირად გადმოგვცემს მისს მიერ ნახულ შემთხვევას ინგლისის ეროვნულ დღესასწაულზე: ბაღის წინ ფართე მინდორია; იქ მრავალ ხალხს მოუყრია თავი და სხვა და სხვა ძველებურ ცეკვა-თამაშით ერთობა. ეროვნული ცეკვა ისეთი ხასიათისაა, რომ მისი შესრულების დროს მოძრაობაში შედის ფეხი, წელი, ხელი, ერთი სიტყვით მთელი სხეული; ფეხებს ხან ძალიან მაღლა იხვრიან, ხან დაბლა—და ამგვარად თითქო ქალებისათვის მისი შესრულება ძალიან უხერხულია, მაგრამ მაინც სიამოვნებით ცეკვავენ, როგორც ვაჟები ისე ქალებიც.

ყველა ხალხს აქვს თვისი ნაციონალური ცეკვა, მაგრამ ისეთი ნაზი, ეშხით სავსე და მომხიბლავი, როგორიც არის ჩვენი ლეკური—იშვიათია. ავილოთ თუ გნებავთ მეორე ეროვნული (იმავე ინგლისის) თამაში: ქალ-ვაჟნი [illegible]დებიან ერთ წრეთ—ვაჟი დაარტყამს ქალს—ან ქალი ვაჟს. დარტყმული გაიქცევა და მეორე იჭერს; გამოყავს წრის შუა ალაგს და ჰკოცნის მას. ხშირია შემთხვევა, რომ ქალიშვილს ლოყებიც კი დაუწითლდება კოცნისაგან; მიუხედავათ ამ თითქო და უხერხულობისა, ამ, თამაშს არ ივიწყებენ და ყოველ ეროვნულ დღესასწაულზე თამაშობენ.

ასეთივე სიამოვნებით იხსენიებს, წრთვნის და აბვითარებს ევროპიელი თავის ხალხურ სიმღერებს.

აქ უადგილოდ არ მიმაჩნია შევჩერდე, რამოდენიმედ, ჩვენს ნაციონალურ ცეკვა-თამაშზე.

ავილოთ „ხორუმი" (მხარული). საუცხოვო არის ეს ცეკვა; სოფლად მოხუცნი და ახალგაზრდანი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, რკალივით წრე შეკრულნი, ფეხებ შეწყობილნი და ტან შეთანხმებულნი—ხელის პატარა თითებით ჯაჭვივით მიებმიან ერთი მეორის და ნელა იმღერიან;

[illegible] რომელიც დიდს [illegible] და ხტომასაც. მაგრამ [illegible]რის დაჩქარებით და მოძრა[illegible]რებისას ქალები თანდათანობით [illegible]მოდიან წრიდან: სანახაობა ამის შემდეგ უფრო საინტერესოა. წრე ასეთ [illegible] გატაცებული მოთამაშენი გვერდით ეკვრიან ერთი მეორეს მაღლა-მაღლა—ამ დროს არავის შეუძლია მათ წრეში შესვლა; უცბად—ერთბაშათ უშვებენ ხელს ერთმეორეს—ამის შემდეგ შეიცვლიან მკლავებს და მხარზე გადააწყობენ ერთმეორეს, ასე განაგრძობენ შემოვლას, რომელიც გაცილებით ორჯერ უფრო ფართე წრეს ქმნის; ჩქარი თუ წყნარი ნაბიჯით უვლიან წრეს და ამასვე უთანხმებენ სიმღერას.

ასეთ ტიპიურ მკლავებ გადადებულ ცეკვა-სიმღერებს შორის აქ მოვიხსენიებ მხოლოდ I „ჰენდა ვარალალი" და „ჯარი არალენდა". ამის შესრულებისას მკლავები მხარზე და ხელები ერთი წინ და მეორე მის უკან უდგიათ, როგორც ჯარის კაცნი. I—II ასე მოძრაობენ ერთ პირველზე დგებიან მერე უკანაზე—ინა მოცილებულია მიწას.

მე II „ოთხ გორდის გინულებუ" ან „ჯან სული" ან კიდევ „მზე შინა" უკანასკნელის შესრულებისას ფეხები და ტანი ერთად შეთანხმებულია—[illegible]

მე III მათგანი არის „ძაბრალე" [illegible]ბა წრე; წრიდან გამოდის ერთი [illegible] დგება წრის შუა; მას ყაბალახს დაუ[illegible]ბენ; ხშირად ნაბდის ქუდსაც; მას ხელში ჯოხი უჭირავს; ნაბადი მოხურული აქვს და თავი შეხვეული; სახე არ ჩამოუჩანს. ჯოხით უნდა მიუახლოვდეს ქუდს; შემოსძახებს „ძაბრალეს": წრიდან ერთხმად შესძახებენ „ჰოი ძაბრალე", ქუდის ირგვლივ ხტუნავს ჯოხიანი, [illegible] იბრება მიწაზე, წამოიჩოქებს. მიუახლოვდება ჯოხს, უპირებს დარტყმას, მაგრამ თითქო ვერ ბედავსო—წამოხტება, ისევ განზე გადახტება იმ გვარად, რომ თითქო ამ ქუდში მომწყვდეულმა შემოუტიათ. წრეში მყოფნი გატაცებულნი არიან ამ ქუდით.—მაყურებელნიც თითქო ხაზგასმით [illegible]ლებული უცქერიან—იცინიან. პატარებს კი არც ერთს არ მოსდის ღიმილი; [illegible]ნი დაფიქრებული შესცქერიან—თითქო რაღაცა გამოვა ქუდიდან და შეგვჭამსო. ეს თამაშობა დიდს სიცილს იწვევს მაყურებლებში და ხშირად ამით თავდება

[illegible]იან. ახლა კი ყოველივე მივიწყებულია და ეს იმის ბრალია, რომ ჩვენში გავრცელებული ყალბი აზრით სირცხვილია ძველი ცეკვის შესრულება. თორემ ჩვენს კულტუროსნობას ამტკიცებს ჩვენი ძველი ეროვნული ნაირ-ნაირი ცეკვა, რომელიც პირდაპირ გამოხატვაა ქართული სიცოცხლის, ქართველი სიდინჯის, მისი ჯენტლმენობის და ზრდილობისა.

მაგრამ ვკითხოთ ჩვენს თავს—ვპატრონობთ ჩვენ ამას?! უნდა გავტყდეთ და ვაღიაროთ რომ არა; მთავარი მიზეზი ამისი ის არის, რომ ყველა ჩვენთაგანი არ არის ერთი აზრის და შეხედულების ჩვენს ფასდაუდებელ საგანძურზე—ხშირად გადაგვარების გზაზე მდგარ ჩვენს ინტელიგენციას არ აკმაყოფილებს მრავალ რიცხოვანი, ხალხში გაბნეული, ბუნებით მობილი კილოკავები და უმაღლესად ზრდილობიანი ცეკვა-თამაში.

საბედნიეროდ ზოგი თაედადებული მუშაკის წყალობით ეს განძი გადაურჩა სრულიად მოსპობას და გადაგვარებას. დღეს ბევრი კი გრძნობს ასეთი მუშაობის საჭიროებას. მაგრამ მედგარი და გაბედულ ინიციატივა არა სჩანს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამის განხორციელებას მოითხოვს ჩვენი კულტურა.

საჭიროა და აუცილებელიც სარგებლობა ამ შესაძლებლობით. საჭიროა, რომ ჩვენი გამოჩენილი ხელოვანები ენერგიულად მოჰკიდებდენ ხელს ამ საქმეს, თვით ხალხის წრიდან გამოსული ხალხური მომღერლები მათ დიდს დახმარებას გაუწევენ და აღტაცებით შეეგებებიან მათ ასეთ დასაწყის.

1917 წლს რევოლიუციის დღეებში მოთავსებული ჰქონდა გაზეთში ღია წერილი—რომ ყველა ამ დარგში მომუშავეთ კონფერენციის მოწვევისაკენ; წერილი განსაკუთრებით ჩვენს მუსიკოს—კომპოზიტორებისადმი იყო მიმართული. კონფერენციაზე უნდა გამომუშავებულიყო საერთო სამოქმედო გეგმა—სამწუხაროდ უნდა ვაღიარო, რომ ამ მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ვერ მოიპოვა და დღემდი ეს დიდი და საჩქაროსაქმე თითქმის მივიწყებულია. ყოველიგვარის მუშაკნი ერთად მოქმედებენ—ოლო ხელოვნების ამ დარგის მუშაკნი კი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულან, რომ ერთხელ მაინც მოეყარათ ერთად თავი და გამოეთქვათ თავისი

[illegible] სახებ.

ძვირფასი ხალხური სიმღერები, რომლებიც ჩვენი ხალხის ჭირს გრძნობის გამომხატველია, რომელშიაც ნათლად ისახვის მთელი წარსულის შინაარსი, უმანკო, ტკბილი ოცნებანი ლამაზი, დინჯი და მშვენიერი ცეკვა-თამაში და ჩვეულებანი—ყოველივე ეს გვეკარგება.

ჩვენ კიდევ დაბეჯითებით მოვითხოვთ რომ ქართველი ერის მკვიდრ იგამოჩენილი მუსიკოს—კომპოზიტორები დაუახლოვდენ ხალხის რჩეულ მომღერლებს თუ სურთ ხალხური ძვირფასი მარგალიტები, რომელიც ამ ხალხში არის გაბნეული—ხალხის და თავისი თავის უკვდავება და სულის წარმტაც ეროვნულ ხალხურ ჰანგებით შემკობა თავიანთ ნაწარმოებისა.

ამით ისინი უამრავ საოპერო მასალას შეიძენენ და ერის კულტურასაც უკვდავს ყოფენ: ამით საკუთარი კულტურა არ გაითქვიფება უცხო კულტურაში, გაძლიერდება, თუ მთელ საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს, ხალხურ ზეპირ პოეზიას და ცეკვა-თამაშს შემოვიტანთ ერთ მთლიან დიდს ოჯახში.

ეს იქნება საკუთარი განძი, უცვლელი დედანი, რომელიც ხელუხლებლად შენახება მომავალს თაობას.

ამავე დროს დაგროვდება მრავალი საისტორიო მასალაც.

ხალხურ ჰიმნების შემკრებებთან და მომღერლებთან ერთად საჭიროა რომ ასეთი პირები მოეფინონ სამშობლოს ყველა კუთხეს—მოეწყოს მათი დახმარებ[illegible] საზოგადოებები, რომელნიც საჭიროების მიხედვით ესტუმრებიან დიდ ქალაქს მათი ნამუშევარის ერთგვარ კონკურსის გასამართავად. აქ მოწონებული ჰანგები გადაღებული იქნება რჩეულ მუსიკოს კომპოზიტორების მიერ ნოტებზე. ამგვარად დამუშავდება, შეიკრიბება და შეიქნება საერთო განძი. გარდა ამისა ასეთი მუშაობა იმ სარგებლობასაც მოგვიტანს, რომ გაიწვრთნება და ასპარეზზე გამოვა ერის ისეთი შვილები, რომელთა ნიჭი ამ ჟამადაც უქმად არის და ვერ პპოვებს საშუალებას გაიწვრთნას და განვითარდეს.

განა ჩვენ ცოტა ვიცით შემთხვევები რომ ნიჭით დაჯილდოვებული პირები უჩინრად დაიხოცნენ და მათ შინაარსით

[illegible]ლოვანი, მაგრამ მ[illegible] დაივიწყებას არის მიცემული?

ვინ ჩამოთვლის რა ძვირფასი მარგალიტები ჩაიტანიათ თან მიწაში ჩვენს ხელოვანს მომღერალ-მგალობლებს [illegible]ტონ და დავით დუმბაძეებს, დიტო [illegible]ლაგანიძეს და სხვებს ჩვენი დაუდევრობით და უყურადღებობით.

განა ჩვენი ვალი არ იყო, რომ გადმოგველო მათგან მათი მშვენიერი, ძვირფასი სიმღერები, სძლისპირები და საგალობლები?

ვამბობ—ვიკმაროთ, რაც დავკარგეთ ჩვენი საერთო დაუდევრობით. დღეს ამ დარგში ასეთი თავისუფალი მოქმედების საშუალებაა და ჩვენი საერთო ვალია, ვისაც როგორ შეუძლია ემსახუროს ამ საქმეს. განა მისატევებელია ჩვენთვის აფხაზების სიმღერებს არ ვიცნობდეთ? ამბობენ, სიმღერა ჯადოსნური საშუალებაა ერის სულიერად ამაღლებისათვის და თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენ მეტად შეგვიძლია ვიამაყოთ, რადგან ჩვენ წინაპართ უამრავი ჰანგები შეუქმნიათ და მაშასადამე ისინი მაღალი სულის მქონე ხალხი ყოფილა.

ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ არა ერთს და ორს ევროპიელს და [illegible] მუსიკოს—კომპოზიტორებს უსარგებლნიათ ქართულ ხალხურ მელოდიებით თავიანთ კომპოზიციებისათვის. მაგ. [illegible]ბინშტეინი, დარგომიჟსკი, სეროვი [illegible] სხვები დიდად აფასებდენ აღმოსავ[illegible]თისა და კერძოდ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

და თუ უცხონი გვაქცევენ ყურადღებას და გვაფასებდენ—მით უფრო [illegible]დებული ვართ ჩვენ თვითონ მივაქციოთ ყურადღება ჩვენს ფასდაუდებელ მუსიკალურ სალაროს.

ისტორია და მადლიერი ერი არ დაივიწყებენ ამ დარგში მომუშავეთ—ეს არის ის მოუწყდომი საქმე და მე დაბეჯითებით მოვუწოდებ სიმღერის მოყვარულთ და მუსიკოს—კომპოზიტორებს ამ მიმართულებით მუშაობისაკენ. ქართული ხალხური მუსიკა ღირსია ყურადღების.

ჭუკუ ლოლუა

აკობ ნიკოლაძეს

ენი სალამი გენიოს როდენს:
მერთკაცად იმან გაქცია მატალი.
ა ამეტყველებ ახლა ცივ ლოდებს.
ომ უკვდავების გვაპკურო მადლი.
ა იცი სივრცე, არც სიგრძე დროთა.
ენში თავს იყრის ყველა ნაკადი:
ტომაც გდაფნავს დღეს დიდი შოთა
ა გაგვირგვინებს თეთრი აკაკი!

ვ. რუხაძე.

მახა ოგელი

აორსულე შენ ჩემი სული,
ა ხელოვნებას ვშობავ მე ისეთს.—
არეულ ქვეყნად გემზე მისული,
ათობს ქვეყნისას, შენსავით მზისეთს!

ლის მიჯნურო, ჩემსა ნაყოფთან
ეთეს „ფაუსტს“ ფერი წაუხდეს!..
ლს უხვეულოდ შენთანა მყოფსა
ესი ნატვრა უნდა აუხდეს:
[illegible] უკვდავებისა,
ატვრა, სურვილი ღმერთად გადასვლის..
ხას აფრენა შენით ეღირსა,—
ხი აქ ყოფნა ჩვენსას გადახცვლის.
922 წ.
ჯისტო.

ბ. ბილ ია

ხმები ოთახიდან

ავ კედლებთან ვწევარ მგლოვიარე,
ელი ხსოვნა მოაქვს ეზოდან ძახილს.
ერი სასტიკი ლა ე გავიარე,
აძღენ წვალებას მალავს ეს ოთახი.

ანაზე ცივი ეს ჩემი მკერდია,
, როგორ მოსჩანს ჰერი გაბზარული.
ხა მაღლა ვამბობ: ჩემთვის სულ ერთია,
არდით თუ ეკლით ვიქნე დაფარული.

ავ მიხარია დღეს გასვლა მზეზე,
დღეს ჩემი სახე ბევრის მეტყველია.
და ცეცხლივით მწვავს ფიქრი სიშორეზე.
და ირგვლივ მხოლოდ ოთხი კედელია.

ტერენტი გრანელი.

იქ

იქ, გადაღმიდან აღმოსავლით, ულრაან ტყეში
ლურჯ მანტიაში გახვეული წევს ფერ-მიხდილი
ვინმე ჭაბუკი, ვითა უცხო უცხო მხარეში.
და შავ კარებზე აკაკუნებს თეთრი სიკვდილი.
იქ ალქაჯები აგროვებენ ყვავილთა კონას,
იქვე ეირთავეებს გაუმართავთ მეჯლისი, ლხინი:
ქინკა ქალები გარს უვლიან ქიაკოკონას,
ისმის ხითხითი, ისმის ტაში, ისმის ყიჟინი,
მღერის ჭაბუკი დამდნარ გრძნობას, დამდნარ სურვილებს:
თითქოს აენთო სიხარულის, შვების ლამპარი
უთანაგრძნობოთ ჩამქრალ სწრაფვას, ჩამქრალ წყურვილებს,
აღმოსავლიდან სალამს აძლევს დილის ცისკარი...
დე ილაპლაპე, ილიმციმე შვების ლამპარო,
შენც, განთიადო, მოგვაფინე მზისა სხივები.
მუდამ ანათე და აბრწყინე ჩაგრულთ სამყარო,
მწვანე მდელოზე ამოქარგე ფერად მძივები...
ამ დროს დაგრგვინა, შეარყია ცა, მთა და ბარი.
შავმა წყვდიადმა მიმოფანტა დღისა ნათელი,
ცხრა-თვალა დევმა გადმოლახა ძველი საზღვარი
და დაუბნელა მოზეიმო ყოფნის სანთელი.
შეკრთა ჭაბუკი, წამოიჭრა ალმასებური,
ლურჯი მანტია აფრიალდა ცისა სფეროში.
ბუ გაჰკიოდა საზარის ხმით, თვალ-ანთებული.
მოზეიმენი მიიფანტენენ იქ, ბნელ სოროში...
სიკვდილი ისევ კარების წინ ამართულიყო.
სისხლიან ცელით მოუსვენრად სცემდა და სცემდა.
სიცოცხლის რიდე მანქანებით დაფხრეწილიყო.
მხოლოდ ჭაბუკი განგმირული ცრემლებში სთვლემდა.

დარია ახვლედიანი

ავტოპორტრეტი

ვიქნები მუდამ ამბავივით ჩამოფარდული:
ზღაპრებში დავალ, მაწვალებენ თარზე ჭანგები,—
სამეფო გვირგვინს დამიქვრივებს, ალბად, განგება.
სახე გამხდარი და თვალებში ნისლი დარდული.

ვაამპარტავნე თავიდანვე ტანი ქართული
ფეთიან რაშზე—ფშაველს ჯიში მეუზანგება,
მდევენ ლანდები, ვით დაჭრილ ლომს, გიჟი ზანგები.
ვერსად მოვძებნე დასვენების მყუდრო სართული.

მწყემსის პროფილი... ატირების სიიაფეში,
უბრძანებს ჩემს თავს—გადაიცვას რკინის ხალათი.
მძულს კვამლის სუნი და მაესტროს ძილი კაფეში.

ოლო ყალთალს დავატოლე მეც უნაგირი...
ია უფრო ბნელდიანი და მუხანათი...
ვლი შეხვედრას მასთან როგორც ნადირს-ნადირი...

ი. მოსაშვილი

ქიზიყი.

გონდოლები ცაში

მარგარიტა ზარნაძეს

ხრიზანტემები ავსებენ ლანგრებს
და გონდოლები დადიან ცაში.
მთვარე მოვერცხლილ კიბეებს ანგრევს,
ფიქრი ღრმავდება ფერების ცეკვაში.

ცის დასავლით: უსაზღვრო სივრცე.
და მე, შორეულ აზრების ღმერთმა,
გულში წამების გოლგოთა ვიგრძენ,
და სიხარული კვლავ ჩამომერთვა.

ო, მინდა ისე დაბნელდეს ირგვლივ,
რომ იფარებდეთ თვალებზე მერიდინს,
მაშინ ამ ქვეყნად მხოლოდ მე ვივლი,
არ შეიხსნება ლინკილო მკერდის.

დრო დაიმონებს მზეს, მთვარეს, სივრცეს,
საკუთარ ღერძით გადიფრენს აზრი
და რომ განცდები ჯოჯოხეთს მივცე,
არ დამჭირდება მახვილი ბასრი.

მაგრამ სიცოცხლე არაფერს ამბობს,
არ მინდა დაფნა, არ მინდა ტაში.
ხრიზანტემები ავსებენ ალბომს
და გონდოლები დადიან ცაში.

ნინო თარხნიშვილი.

დახუჭე თვალები

დახუჭე თვალები! თუ შენ ამის მეტად
არ გესმის, რად არი მთვარეზე ხმაური;
რად არის ეს თოკი—ვის გამოსასხლეტად,
ან რისთვის ხმებიან ვერხვები ზაფრით?!
ტანჯვაში ხშირია, რომ კაცი გადარჩეს.
შვებაშიც კვდებიან—ირევა წუთები.
ამბობდი: ამ ქვეყნად ვერავის ვიწამებ.
გველების კლანჭებით მითრთოდა სახე და
ავ-სისხლი სხეულში ილვროდა ტყვრისამებრ,
შენ შიშით წვებოდი, არავინ დაგხედა.
ახლა ხომ გაიგე, უხეში ზვირთებით,
თუ როგორ გაწვალდა ეგ სული სასტიკად!
და მახინჯ დროების მშიერი ვირთხები
ქუჩაში დადიან სხეულის სასყიდლად...
შენ რომ ხე გიყვარდა, მას წვერი გადაჭრეს,
მრისხანე მზის სხივით იწვება ტოტები.
უშველე რაიმეთ, იქნება გადარჩეს.
ის ხე ხომ შენია? ცოდვაა მოკვდება...

შალვა ჯანხერიძე

ქ. ბათომი.

ოპერის კვირეული

„ჰუგენოტები“.

მეიერბერი საოპერო მუსიკაში **პირველი** შემქმნელია ეგრედ წოდებული დიდი დრამატიული ოპერისა, რომელშიაც ყოველი ნაწილი: ორკესტრი, ხორო და მომქმედ-პირთა სასიმღერო პარტიები თითქმის თანასწორად და თანაბარი მნიშვნელობით არის განაწილებული.

მან **პირველმა** გაამდიდრა ორკესტრი ხმოვანებით და დრამის შესაფერი განვითარებით საკრავთა საშუალებით. მან პირველმა მიუჩინა ხორის ოპერაში განსაკუთრებული ადგილი და შეთხზა საკვირველი ძლიერი ანსამბლები. მან პირველმა შეიტანა, როგორც სასიმღერო პარტიებში, ისე ორკესტრში ნამდვილი დრამატიზმი.

ყველა ამისათვის მას ჰქონდა უდიდესი მუსიკალური ნიჭი, იშვიათი ტექნიკა და უშრეტი ფანტაზია.

უებრო მელოდისტი იგი ამავე დროს იყო იშვიათი ალღოს პატრონი დრამატიული მომენტის შექმნისათვის.

ჩვენ სხვა მის ოპერებს არ შევეხებით და მცირედად შევჩერდებით მხოლოდ „ჰუგენოტებზე“, რომელიც ჩვენის აზრით, მისი საუკეთესო ნაწარმოებია.

რაც უნდა ბევრი [illegible] მოდერნისტული მუსიკის თაყვანისმცემლები, რაც უნდა უკიჟინონ მეიერბერს, რომ იგი დიდ ანგარიშს უწევდა ხალხის გემოვნებას დახშირად მიმართავდა ბანალურ მოტკბილო ჰანგებს,—იმას მაინც ვერ უარჰყოფენ, რაც ზევით ითქვა, რომ ოპერაში იგი იყო ახალი სიტყვის მთქმელი და რომ მაგალითად, ორი მესამედი „ჰუგენოტების“ მუსიკისა მისი შემოქმედობის გენიოსობის მახველია.

თვით ოპერის მოკლე შესავალი და ამავე შესავლის მთავარი ჰანგი ხორალი, რომელსაც მარსელი ჰგალობს პირველ მოქმედებაში, მეორე მოქმედების ფილი და თან მოყოლილი მთელი ანსამბლი—ფინალითურთ მესამე მოქმედების ვალენტინას და მარსელის დუეტი, იქვე სეპტეტი, მეოთხე მოქმედების მახვილთა დამწყალობების მთელი ანსამბლი და ამავე მოქმედების დიდი დუეტი ვალენტინისა და რაულისა—ეს ისეთი მუსიკალური ხელოვნების საგოგმანი მარგალიტებია, არა, უფრო ბრილიანტები, რომელთა ბრწყინვალებას საუკუნოთა მსახვრელი ხელი ვერ შებღალავს და ყოველთვის კაცობრიობის კულტურის საგანძურში დარჩება, როგორც უკვდავი რამ.

[illegible] ქნის ასი წლის მანძილი, რომელმაც ნაოლ-კი ვერ შეუცვალა მეიერბერის საუკეთესო ნაწარმოებებს. ხალხი მათ ისევე ეტანება, როგორც ეს პირველში იყო, პირიქით, თითქოს ყოველთვის რაღაც სიახლესა და სიტკბოს ჰპოვებს მათში.

ჩვენ არას ვამბობთ იმის შესახებ, უადგილობის გამო, რომ მუსიკის საშუალებით ნამდვილი დრამატიული ტიპების შექმნა (მარსელი, ვალენტინა, სენ-ბრი) მეიერბერამდე და შეიძლება, მეიერბერის შემდეგაც, ისე მეტყველად ვერავინ შესძლო, როგორც ამ უკვდავმა შემოქმედმა.

თვალი გადაავლეთ, რა იყო დრამატიული საოპერო მუსიკა მეიერბერამდე და რად გადაიქცა იგი მეიერბერის შემდეგ.

არც ერთი შემდეგი მუსიკოსი არ გადაურჩა მეიერბერის გავლენას და, წარმოიდგინეთ, თვით საოპერო დრამის რევოლიუციონერმა გენიოსმა რიხარდ ვაგნერმაც-კი, ერთი თვალსაჩინო მუსიკალური კრიტიკოსის აზრით, განიცადა ეს გავლენა...

უბრალო საგაზეთო წერილი საშუალებას არ გვაძლევს, ცოტა არ იყოს ვრცლად, გავითვალისწინოთ მეიერბერის მნიშვნელობა საოპერო [illegible] და [illegible] მხოლოდ მოკლე შენიშვნები გამოვთქვა.

რაც უნდა ბევრი ტყვია-წამალი ვხარჯოთ ხელოვნების დანიშნულებაზე, საბოლოოდ იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ მისი მთავარი ელემენტი სულიერად და ხორციელად დატკბობაა მჭვრეტელისა იქნება, მსმენელისა თუ მაყურებლისა. აი, როდესაც ვგრძნობ, რომ ტანში ცრუემბული მიდის, სისხლის მოძრაობა თითქოს მიძლიერდება ძარღვებში და მთელი ჩემი არსება რაღაცა კმაყოფილებით ილიქვრის აი, მაშინ მე მკითხველო, მსმენელო თუ მაყურებელო ვიტყვი, რომ თვით ღვთის სასუფეველს შემოქმედის გრძნეული ნიჭით მოვლენებულ.

მეიერბერი ამას აბერხავს თითქმის ფერის ერთ შემთხვევაში და ამიტომაც იგი უებრო შემოქმედია.

მსოფლიო ისტორიამ თავის კაბადონებზე აღნიშნა ერთი უდიდესი ბოროტების აქტი, ეს ეგრედ წოდებული „ბართლომეს ღამე“ პროტესტანტების გაჟლეტა პარიზსა და მთელ საფრანგეთში, სადაც ერთი [illegible] [illegible].

ქართული დრამა.

„ორი ჯიბგირი“

„ცხვრის წყარო“

ქართული დრამა გადახალისდა. მას შემდეგ, რაც ქართულ თეატრის სცენაზე დაიდგა „ცხვრის წყარო“ მარჯანიშვილის რეჟისორობით, ქართველი საზოგადოებაც სიხარულით ეტანება თეატრს და თვით მსახიობნიც ხალისიანად და პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. დეკემბრის 17 მეხუთეჯერ დაიდგა „ცხვრის წყარო“ და მიუხედავათ ამისა ბილეთები ორი დღით ადრე უკვე გაყიდული იყო. მაგრამ არა ნაკლები საზოგადოება დაესწრო დეკემბრის თექვსმეტსაც „ორი ჯიბგირი“ ცნობილი ძველი მელოდრამა მრავალჯერ დადგმულა ქართულ სცენაზე. მელოდრამა საყვარელია საზოგადოებისათვის. იგი ნამდვილი [illegible]რმაა თეატრალობის. ბოლომდის ამ [illegible] აც საზოგადოება ბოლომდის დიდი ალტაცებით უსმენდა ამ ძველს მელოდრამას. ისმოდა ქვითინიც გამოწვეული ნინო ჩხეიძის [illegible] თამაშით. ნინო ჩხეიძე და [illegible] შეუდარებელნი იყვნენ ამ [illegible]. მათ [illegible] კიდევ დაუმტკიცეს ქართველ საზოგადოებას, რომ თუ [illegible] ლევის ღვთიური ცეცხლი, ვერას დააკლებს მის ტემპერამენტს დრო და ჟამთა სიავე.

კარგი იყო ჯავახიშვილის ქალი. საერთოდ ყველა მოთამაშეს კარგად ეჭირა თავი სცენაზე. პიესას აჩნდა რეჟისორის (მიხ. ქორელის) მუყაითობა და მეჯითი ხელი.

ქართულ თეატრს სხვათა შორის მიმდინარე სეზონში აკლდა თანაგრძნობა საზოგადოებისა დღეს ეს თანაგრძნობაც აღარ აკლია მას.

ეს ცხადათ დაგვანახა ორი ჯიბგირის დადგმამ და „ცხვრის წყაროს“ მეხუთეჯერ განმეორებამ, ქართული თეატრი გამარჯვებისკენ მიდის.

პ. ინგოროყვას მოხსენება

(შოთა რუსთაველის გეოგრაფია).

[illegible] შესაძლო იყვეს ერთად თავმოყრა [illegible] დაწერილა შოთა რუსთაველზე და [illegible] პოემაზე, ერთი [illegible] ქნებოდა.

[illegible] საუკუნის განმავლობაში აწამეს [illegible] ას სახე არა მარტო ქართველ მოღვაწეთ, არამედ ბევრ უცხოელთაც. [illegible] ებულია საქართველოში დაარს[illegible] შოთა რუსთაველის აკადემია, სა[illegible] შეგროვილი იქნება ყველა მასალა[illegible] ოლები და სხვა, რაც რუსთაველის სახელს ატარებენ, სადაც იქნება [illegible] ერულ ნიადაგზე დაყენებული მისი [illegible] ვლის საქმე.

[illegible] თქმულა, რა არ დაწერილა რუსთაველზე, მაგრამ სად იყო ახალი სი[illegible] ახალი გაქანება შაბლონს აცილე[illegible]

[illegible] ელი აკადემიური წელი მდიდარია [illegible] აველის სახელით, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ს. გორგაძე, პავლე ინგოროყვა. მთელი რიგი მოხსენებების, ლექციების, გამოკვლევის.

[illegible] ინგოროყვამ წაიკითხა რამდენიმე [illegible] ია შოთა რუსთაველზე. და აღსანიშნავია ის რომ, ამ ლექციებით მან [illegible] გამუქება შეიტანა იმ საიდუმლოებაში, რომელიც ფარავდა შოთას.

ბევრი ილიუზიები გააქარწყლა ინგოროყვას მიმდინარე აკადემიური წლის მოხსენებებმა.

სამწუხაროდ, დღესაც ვერ ეღირსენ ეს მოხსენებები დაბეჭვდას, რომ მისაწვდომი გამხდარიყო ფართო საზოგადოებისათვის.

მიმდინარე წლის დეკემბრის 17, ხელოვნების სასახლეში პ. ინგოროყვა იწყებს მოხსენებების ახალ სერიებს შოთა რუსთაველზე. პირველი მოხსენებაა რუსთაველის გეოგრაფია. მომხსენებელი ისტორიულ დოკუმენტებით ამტკიცებს თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის დასაწყისში აზიის გეოგრაფიაზე, ირკვევა, რომ შოთას პოემაში დასახელებული ადგილები სავსებით შეეფარდება იმ დროინდელ გეოგრაფიულ ცნობებს. და ამით სავსებით ირღვევა მტკიცება თითქოს შოთა რუსთველის პოემაში დასახელებულ სამეფოების მდებარეობაში ნაგულისხმევი იყოს შავი ზღვის სანაპიროები და საქართველო საზოგადოდ.

გეოგრაფიული შეცდომები, რომელიც მოიპოვება ვეფხის [illegible] სა[illegible] ერთო შეცდომებ[illegible] [illegible] რუქა [illegible] მუსულმანური [illegible] მაშინდელ მოწინავე აზიურ სწავლულების მიერ. მომხსენებელი იმ დროინდელ მუსულმანურ გეოგრაფიულ წყაროების მიხედვით ამტკიცებს აგრეთვე თვის წინანდელ დებულებებს, რომ ვეფხის ტყაოსანი დაწერილია მეთორმეტე საუკუნის დამლევსა და მეცამეტე საუკუნის დასაწყისს შუა.

ის გეოგრაფიული რუქა, რომელიც მოხაზულია ვეფხის ტყაოსანში არ იყო ცნობილი (ისტორიული მასალებით) არც მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე. ამ რიგად მომხსენებელი ერთის მხრით [illegible] საყურადღებო წყა[illegible] რუსთველზე და მის პოე[illegible] ებზე ასაბუთებს წინა მოხ[illegible] წამოყენებულ დებულებებს. [illegible] დაგვრჩენია რა უსურვოთ [illegible] მკვლევარს ამ დარგში [illegible]. მხოლოდ სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ მისი მეტად ღირს შესანიშნავი მოხსენებები დღემდი გამოუცემელი და ამით საშუალება ესპობა ფართო საზოგადოებას მეტი ყურადღებით მოეპყროს ამ მეტად რთულ და საინტერესო საკითხს.

მეთვალყურე.

„დამზრალი წალკოტ“

დრამა 4 მოქმ. ნიკო გურგესელის

დრამატურგის მდგომარეობა ლიტერატურულ შემოქმედებაში მეტად მძიმეა და მრავალნაირად ახის პასუხის მგებელი საზოგადოების წინაშე. საჭიროა მისი გამორკვევა ლიტერატურულადაც და სცენიურადაც—რეჟისორი, მსახიობით... ტექნიკა-აი, რა უნდა დასძლიოს დრამატურგმა ზედმეტად.

ბრძოლის ხანა, რომელიც ევროპის დრამატურგებმა გაიარეს, ჩვენ ალბად აწი დაგვიდგება. ჩვენში არაის ჭიდილი დრამატურგთა შორის, თუ ვინმემ მოიცალა და დასწერა ერთი ან ორი დრამა, გათავდა ამის შემდეგ იგი დადუმდება ხოლმე. დრამატიურგიის განსაკუთრებულ სკოლაზე ლაპარაკი ჩვენში ზედმეტია.

ამ მხრივ ახალგაზრდა დრამატურგის ნ. გურგესელის გამოსვლა ბევრს ლაპარაკობს. მისი დრამა **„დამზრალი წალკოტი“** წარმოდგენილი იქნა სახალხო სახლში შალვა დადიანის რეჟისორობით. გურგესელს სახ. სახლის აუდიტორია სხვა პიესებითაც იცნობს, მაგრამ უკანასკნელი მისი გამოსვლა საშუალებს გვაძლევს მის ნიჭზე უფრო ვრცლად ვილაპარაკოთ.

საზოგადოება გურგესელის ახალი დრამით დიდად იყო დაინტერესებული, მთელი დადიანი და მსახიობები დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ საქმეს პიესა დაიდგა. მე მინდა ამ წერილში აღვნიშნო პიესის კვანძი მოკლედ განსაკუთრებით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა დრამატურგმა გაიმარჯვა. დრამის აკინძვა, ტიპები და მოვლენანი სამაგალითოდ არის დაძლეული. ენა [illegible] ხატვრულია.

პიესა მოითხოვს მაყურებლებისგან დიდ ყურადღებას. მკვეთრი და ღრმა შინაარსიანი შტრიხები, წერტილები და პაუზები ბევრს რამეს ლაპარაკობს.

პიესის მთავარი გმირი დიმიტრია. პიესა მაშინ იწყება როცა დიმიტრი საბედისწერო რუბიკონზე დგას. ეს რუბიკონი ძველის და ახლის საშინელი შეჯახებაა. დიმიტრი მხატვარია, მისი ახალგაზრდული ენერგია დაიშრიტა შემოქმედებაში. ის ამაყი და დიდი იყო, როცა მის შემოქმედებას აღიდებდნენ და ამ დიდებაში ყველა მის ირგვლივ მდგომანი მით უმეტეს ლადო, მეუღლე, პატარები სჩანდენ მასთან შედარებით. დიმიტრის ჰორიზონტი უსაძლვრო იყო, უკვე შემოქმედების ცეცხლით დაფერფლილის ცხოვრებაში შემოიჭრება შოთა, მისი მოწაფე. შოთაში დიმიტრიმ ნიჭიერი მხატვარი გამოხაკვეთა, თვით [illegible] [illegible] რომ[illegible] მის სურათებს ახასიათებს მასწავლებლის დიმიტრის წყალობას. მა[illegible] სული, იდეა, მიმართულება სულ სხვა[illegible]: ორი მოსიყვარულე სული. დიმი[illegible] და შოთა, მტერი გამოდგა [illegible]. შოთას მუდამ სწამდა, ერთი[illegible] [illegible]ლის კულტი, არსებულ და[illegible] [illegible]ებულ ერქის შვილებს თაოლად [illegible]. შოთა გაკვრით აგრძნობინებს დიმიტრის, რომ მისი მეუღლის [illegible] სხეულის პოზებს მხოლოდ [illegible] ძლიერ შეუძლია და არა ცხ[illegible] განიცდის.

დიმი[illegible]ს არ სჯერა ეს და განყენებულ შემოქმედებას ყველაზე მაღლა აყენებს. მაგრამ მალე თვით ცხოვრება არკვევს საკ[illegible] შოთას სათხოიან და პატივ[illegible] გამოთქმული აზრი თანდათანობით მართლდება, შოთას არ უყვარს დიმიტრის წინააღმდეგობა, რიტორიულ კამათს მუდამ გაურბის, მაგრამ მისი ეტიუდი ტილოზე ქცნის დიმიტრის ყოფნის სიმბოლოს, „დამზრალ წალკოტს“ „დამზრალი წალკოტის დახატვა“ მთელს ოჯახში რაღაც შეუცნობელ შიშებას იწვევს. დიმიტრი ხედავს, რომ სურათის ყველა შტრიხი მის ოჯახს აგონებს. თავის ქალიშვილის სახეს ნათლად ხედავს, რომელიც შემოდგომის პირზე, დასუსხულ, დამზრალ წალკოტში აქვითინებული დგას. და სურათი გულის სიღრმეში წვდება თვით ვენერასაც (დიმიტრის ქალი), მას სძულს შოთა და კიდეც უყვარს. ამ დროს კვდება დიმიტრის ბაბო, რომელიც მთელი ქონების მესაჭე იყო. საჭირო გახდა კაცი, საქმის მცოდნე და ასეთი გამოჩნდა მიხეილი, დიმიტრის სიძის შვილი, შინაური კაცი, რომლის ცხოვრება საიდუმლოებით არის მოცული. როცა დიმიტრი ხელოვნებით არის გატაცებული, მიხეილი მოცლილი და არაფიყი, დიმიტრის მეუღლეს ეარშიყება და იჭერს მასთან ინტიმურს კავშირს, რომლის ნაყოფი ვეფერაა. დიმიტრისთვის ყოველივე ეს შეუცნობელია, მაგრამ თანდათანობით მის სულში იჭრება ეჭვი და იმ დროს, როცა ის მარცხდება მხატვრობაში, ლიდას წყალობით ფარდა ეხდება სინამდვილეს. ლიდა თავს იმართლებს, რომ დიმიტრი მას ყურადღებას არ აქცევდა: დიმიტრის ცხოვრებაში იწყება ტრაღედია.

ასეთ ფონზე გაშლილი დრამა, რომელიც ოთხი მოქმედების მანძილზეა მოცემული, არის შესანიშნავი მომენტები. დრამატიზმით აღსავსე განცდები-მთელი შინაარსის გადმოცემა დიდს ადგილს დაიჭერდა-საკმარისად მიმაჩნია კვანძის აღნიშვნა.

[illegible] მოთამაშეთათვის აუარებელ მასალას იძლევა. ორი იდეოლოგია, ორი სული, მათი მძლავრი შეთანხმება, ან [illegible] პიესის დროის [illegible] ფსიქოლოგიური. ერთი შეხედვით გეონიათ პიესაში იშლება მხატვრის სულიერი გამარჯვება დაღორკება, მაგრამ პიესაში ედავენ მხატვრებსაც, კომპოზიტორებსაც, ჟურნალისტებსაც.

აღსანიშნავია, რომ პიესა ბევრ ჰბადებს და დიდ განცდას იძლევა. თეატრიდან [illegible] კმაყოფილი და მადლიერი. სახალხო სახლში ამ პიესის დადგმა აუცილებლად დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება ტიპების განსახიერებას ჰქონდა დეფექტები. დადგმა ვერ იყო სრული და უნაკლო მაგრამ ერთი ფაქტია: მოგვევლინა ახალი დრამა. დიდი ხნის დუმილის შემდეგ ქართულ ლიტერატურას შეემატა პიესა, თანამედროვე სულით დაწერილი. სახალხო სახლი წლის წინ მიიწევს და გურგესელიც განახლებულ თეატრში საპატიო ადგილს დაიჭერს.

შალვა გომართელი

18/XII-22 წ.
დედა ქალაქი

ბაში დაიღუპა თითქმის 30.000 კალვინის რწმენის მიმდევარი ფრანგი, ხოლო თვით პარიზში ერთ ღამეს სოკოლხლებს გამოასალმეს 2000 სული.

აუარებელი ტომებია დაწერილი ამ საშინელი ბოროტების შესახებ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ამ ტომთაგანი ნაასახს ვერ გამოხატავს იმისას, რაც აღბეჭდილია „ჰუგენოტების" ხორალში და მეოთხე მოქმედების „მახვილია" დამწყალობების" სცენაში.

ამის შემდეგ, ყურადღების იმაზე შეჩერება, ვითომც „ჰუგენოტებში" აქა იქ მოიპოვებოდეს ბანალური, ძველი იტალიანური მოტკბო ჰანგები,—ეს იმას ნიშნავს, რომ კაცმა რიყეზე ქვა არ დაინახოს და მხოლოდ კენჭებს მიაპყრას თვალი.

ახლა რაო? განა ვაგნერის „ლენგრინში"-კი არ მოიპოვება ისეთი მოტკბურ ჰანგები, რაც ვაგნერის დადებულ სახელს არ შეეფერება. აიღეთ, თუ გინდათ, საქორწილო ჰანგი ხორისი...

მაგრამ განა თითქმის, რომ „ლეოენგრინი" ჰენიოსური ნაწარმოები არ არის. მიიღეთ მხედველობაში,—როდის სთხზავდა მეიერბერი თავის ოპერას, ასწონდასწონეთ მაშინ არსებული მუსიკალური ფორმები, შეადარეთ მეიერბერისას და ეს შედარება გიჩვენებთ [illegible] გადაიტაცა მეიერბერის უნარმა და გემომ...

ჰენიოსთა შორის უდიდესი ჰენიოსი შექსპირიც კი ვერ გადურჩა თავისი დრო-ჟამის გავლენას და არც მეიერბერს შეეძლო განაგისამდე ამოეშალა თავის არსებიდამ ძველი მუსიკალური კულტურის ანაბეჭდი...

მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელდა და დავუბრუნდეთ წარმოდგენას.

ჩვენ საოპერო სცენაზე „ჰუგენოტები" განახლებული (მხოლოდ გარეგნულად) სახით მოგვევლინა. არსებული მეტისმეტად მოძველებული ტრაფარეტული იყო —რეჟისორმა **ბოგოლიუბოვმა** განიზრახა მისი განახლება და დიდი მადლობის ღირსია ამისათვის. ვერ ვიტყვით, რომ მას მოეცეს ისტორიული (XVI საუკ.) პარიზის სახე. იქ, მოდერნისტული შირმებია გამოყენებული, რაღა თქმა უნდა, არქიტექტურისა და ქუჩების სტილზე ლაპარაკი შეუძლებელია. მაგრამ ფერადების სიახლე (უპირატესად მუქი ლილისფერი—ოქროს მოხაზულობითა და პაწია ნაქარგებით გარდა მესამე მოქმედების) თვალს ესიამოვნებოდა. განსაკუთრებით კარგია ამ მხრივ მეოთხე მოქმედების დეკორაცია რომლის ერთ კუნქულს ამშვენებდა ტრაპეზი სალცნებო [illegible] ჯვარცმით.— სრულიად ახალია მეოთხე მოქმედების ფინალი—ჰუგენოტების „ხოცვა—ჟლეტა, მეხუთე მოქმედებიდან გადმოტანილი (ეს მოქმედება საზოგადოდ არასდროს არ იდგმის) მხოლოდ ამ მომენტში საშინელი გახშირებული სროლა იქნა ატეხილი, რამაც უეჭველია დრამის სვლას ხელი შეუშალა მახვილთა „დამწყალობების" სცენა რელიეფური იყო, ჯგუფების მოძრაობა აღტყინებული და კათოლიკთა ფანატიზმის მეტყველი.

ლოტბარის ვანო **ფალიაშვილის** უნარმა და გატაცებამ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. არას დროს არ მოგვისმენია „ჰუგენოტებში" ორკესტრის ასეთი მწყობრი და ხმოვანებით მეტყველი აღსრულება კომპოზიტორის განზრახვათა. რა იშვიათის სიწმინდით და კილოთი იყო აღსრულებული ოპერის საკვირველი შესავალი და ზათქითა და ზარით გაისმოდა ორკესტრის ხმაური „მახვილი დამწყალობების" სცენაში!.. ამასთანავე იშვიათის მზრუნველობით და სიფრთხილით ადევნებდა იგივე ორკესტრი თავის დანაკრავს მომღერალთა ხმას და ცდილობდა არ დაეჩრდილა ისინი. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ვიოლონჩელის იშვიათი მგრძნობიარე გამომეტყველება მესამე მოქმედების—ვალენტინისა და მარსელის—დუეტში და მეოთხე მოქმედების—რაულისა და ვალენტინის დუეტში.

ვანო **სარაჯიშვილის** (რაულ) ხმას დაღლილობა ეტყობოდა პირველ ორ მოქმედებაში (წინა ღამეს „ფაუსტში" მღეროდა სხვა მომღერლის ავადმყოფობის გამო), ხოლო ორ უკანასკნელ მოქმედებაში გამოსწორდა და ლონე მოიცა. მესამე მოქმედების სეფტეტში ისეთის ძლიერის ხმა-აზიდულობით დასჭექა უმწვერვალესი სი-ნატურელ, რომ საზოგადოება ტაშით აგრგვინდა. რასაკვირველია, დიდის გრძნობით და სიტკბოთი მღეროდა მეოთხე მოქმედების დუეტს.

ქ-ნი **მუტლიამ** ვალენტინის როლში საკმაოდ იჩენს თავის დიდ ხმას, მაგრამ აკლია სინაზე და სიფაქიზე და კილოს სიწმინდე, არც თუ სცენიური სახეს ჰქმნის ნარნარობისა და სიტურფისას.

ბ-ნმა **ინაშვილმა**, რასაკვირველია, ადვილად დასძლია ნევერის როლი, მშვენიერი ხმოვანებით ჰქდერდა მისი ლამაზი ტემბროვანი ხმა. გარეგნობითაც თვალის მომტაცი იყო. მხოლოდ ადგილ ადგილ საჭიროა სახის მეტყველება შეიცვალოს მხიარული იერით, მაგალითად პირველ მოქმედებაში და მესამე მოქმედების ფრაზაში, როცა ვალენტინის მიმართავს. სულ ტრაგიკულად ნუ იყურება.

ბ-ნ **საბინის** მარსელისათვის საკმაო ხმა აქვს, როგორც დაბალ ისე მაღალ ფარდებში. მაგრამ მეტის-მეტად უნდილი და მისი სიმღერა ტრაფარეტულია სცენაზე მოძრაობა. იგი-კი არ დადის, მაგალითად, არამედ იძვრის, ასკი ამბობს ფრაზას—არამედ მეტყველებასა; ახასიათებენ, ხოლმე, საზოგადოდ, არტისტის ჰიმიობას.

ბ-ნი **იხეცკ** —შესანიშნავი სენთარი იქნებოდა, რომ ძალას არ ატანდეს თავის ლამაზ ხმას, რისგამოც მისი სიმღერა ერთგულოვანი და ერთფეროვანი გახდა. შესანიშნავ სცენიურ სახეს ჰქმნის.

აღსანიშნავია, რომ რაღაც, ჩვენთვის გაუგებარია მიზეზით ხოროს პირველ ორ მოქმედებაში უნდილობა ეტყობოდა, ხოლო უკანასკნელ მოქმედებაში ამოძრავდა, როგორც ხმოვანებით. ისიც აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველას შესაფერი გრიმი ჰქონდა, [illegible] ქულებურად დაძენძილ ტანისამოსებში არ იყვნენ გამოწყობალნი. ზოგიერთი სამკაული ხომ თვალსაჩინო იყო.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ინენ.

ქრონიკა

ჟურნალი ილიონი
№ 3. საახალწლოდ გამოვა ჟურნალი ილიონის მესამე ნომერი. ჟურნალს დართული აქვს ნიცშეს სურათი. მესამე ნომერში მონაწილეობენ: კ. გამსახურდია ირაკლი ტატიშვილი, ტერენტი გრანელი, ვ. გორგაძე, მარიჯან, მოსაშვილი, გარდელი, უიარაღო, კ. აბაშიძე, დ. უზნაძე, ალ. წერეთელი. ჟურნალი იქნება 80 გვერდიანი. ეღირება 40 ათასი მან. ილიონის კანტორა წინადადებას აძლევს თავის პროვინციელ აგენტებს საახალწლოდ უნდა გაასწორონ პირველი და მეორე ნომრის ანგარიშები. ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ტფილისი ცეკავშირი. არჩილ ჯაჯანაშვილს.

დ. გურამიშვილის საღამო. იანვარში კონსტანტინე გამსახურდია გამართავს დავით გურამიშვილის საღამოს სახელმწიფო კონსერვატორიაში.

იაფ ფასიანი წარმოდგენები მუშებისათვის.
განათლების კომისარიატის განკარგულებით კვირაში ერთი დღე სახელმწიფო ოპერასა და დრამში დაიდგმება იაფ ფასიანი წარმოდგენები მუშებისთვის. პირველი წარმოდგენა დაიდგა დეკემბრის 17 რუსთაველის თეატრში „ცხვრის წყარო" მარჯანიშვილის რეჟისორობით.

სახელმწიფო ოპერის უმაღლესი სასწავლებელი.
განათლების კომისარიატის დადგენილებით ტფილისში დაიხურა ყველა საოპერო სტუდიები კონსერვატორიებთან და ნაცვლად დაარსდა ერთი უმაღლესი სახელმწიფო საოპერო სკოლა, რომელიც თვისი მიზნითა და დანიშნულებით წარმოადგენს უმაღლეს აკადემიას ვოკალურ საოპერო ხელოვნებისას. სკოლის მიზანია აღზრდა და შექმნა საოპერო მომღერალთა კადრისა სოლიდურ სცენიურ მომზადებით. გარდა პრაქტიკულ მეცადინეობისა წაიკითხება ლექციები ხელოვნებაზე. სკოლის დირექტორათ დაინიშნა სახელმწიფო აკადემიურ თეატრების ყოფილი გამგე ა. ახმეტელი, რომელიც უკვე შეუდგა მასწავლებელთა შტატის შედგენას. სკოლაში მიიღებენ გამოუცდელათ კონსერვატორიის კურს დამთავრებულთ და ოპერის არტისტებს, [illegible] ხმა და მუშავებულ პირთ. ვინც სკოლას დაასრულებს, სადებიუტოდ შეუძლია გამოვიდეს სახელმწიფო საოპერო თეატრში.

გ. ქუჩიშვილის საღამო.
პოეტ გიორგი ქუჩიშვილის საღამო, რომელიც უნდა შემდგარიყო ქართულ კლუბში დეკემბრის 20, გადაიდო დეკემბრის ოცდაექვსისთვის.

ვაჟა ფშაველას საღამო.
დეკემბრის 20 სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ვაჟა ფშაველას საღამო. მოხსენებები წაიკითხეს არისტო ჭუმბაძემ და კ. გამსახურდიამ. ლექსები ვაჟასი: თამარ ჭავჭავაძემ, არისტო ჭუმბაძემ, ფეშალიშვილმა და ტერენტი გრანელმა.

განათლების მუშაკთა სახლში.
ორშაბათს დეკემბრის 25 საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) გ. ჯაკობია წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: იოანნე შავთელის „აბდულ მესია".

კარლ ბიუხერი ქართულ ენაზე.
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა კონსტანტინე ნემსაძემ გადმოთარგმნა გერმანულიდან გერმანიის სახელგანთქმულ ეკონომისტის კარლ ბიუხერის ცნობილი წიგნი: „სახალხო მეურნეობის წარმოშობა". თარგმანი დაიბეჭდება ჟურნალ „ჩვენი მეცნიერება"-ში.

იუბილე.
დამსახურებულ პედაგოგ ნიკოლოზ ანტონის ძე მაღრაძის იუბილე მისი პედაგოგიურ 43 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება დღეს, ქ. ქუთაისში, დილის 11 საათზე.

ახალი წიგნი.
ქ. ბათომში იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა ქ. კაპანელის წიგნი: „იდეა და სული". წიგნი შეიცავს თხუთმეტამდე წერილს ფილოსოფიიდან, ესთეტიკიდან და კრიტიკიდან.

სტუდიის ლოტარიის გათამაშება.
კვირას, 10 დეკემბერს, რუსთაველის თეატრში, მთავრობის წარმომადგენელთა თანადასწრებით საგანგებო კომისიის მიერ მოხდა საჯარო გათამაშება [illegible] ფილავას ხელმძღვანელობით არსებულ [illegible] დრამატიული ლოტარიისა. მოგებები ხვდათ:

№ 069,547 — 25,000,000 მ.
№ 039,986 — 10,000,000 „
№ 097,026 — 10,000,000 „
№ 007,854 — 5,000,000 „
№ 072,560 — 5,000,000 „
№ 072,806 — 5,000,000 „

თითო მილიონი:

№ 005,331	№ 005,601	№ 008,202
№ 022,908	№ 026,390	№ 054,073
№ 061,376	№ 062,462	№ 068,599
№ 075,864	№ 076,483	№ 077,785
№ 079,308	№ 099,589	№ 099,676

ქართველ მხატვართა შორის.
სამშაბათს, დეკემბრის 19, ხელოვანთა სასახლეში გაიმართა მეორე მხატვრული სეანსი. ჟურფიქსი. ქართველ მხატვართა საზოგადოების საბჭოს თაოსნობით. საღამო იყო მეტათ საინტერესო და ინტიმური. აქ მხატვრების მიერ ექსპრომტათ იხატებოდა სურათები და იმართებოდა გამოფენა. მონაწილეობდენ ხელოვნების ყველა დარგიდან. ლექსები წარმოთქვეს პოეტმა პატარიძემ, ქნარმა და სხვებმა. მოხდენილათ ცეკვავდა შურა თოიძისა. კარგათ მღეროდა ირაკლი კანდელაკი. სტუმრები და მასპინძლები აქ ყველანი შემოქმედნი იყვნენ. საღამო გაგრძელდა ღამის 1 საათამდე.

მხატვართა საღამო.
სამშაბათს დეკემბრის 26 ქართველ მხატვართა საზოგადოების საბჭოს თაოსნობით ხელოვანთა სასახლეში სერგიევის ქ. № 13, გაიმართება მორიგი მესამე მხატვრული სეანსი, მოგონება როდენზე. მომხსენებელი იაკობ ნიკოლაძე. შემდეგ ჟურფიქსი. საღამოში შემოქმედების შემოტანა სხვა და სხვა სახით შეუძლია ყველა დამსწრეთ საბჭოს, მორიგი წევრის წინასწარი თანხმობით.

ი. მჭედლიშვილის განცხადება.

ეს მეექვსე წელიწადია, რაც ჩემი სახელით ვიღაც აფერისტი ხალხში ფულსა ჰკრებს „თავისი წიგნის გამოსაცემად". მეექსედ ვაცხადებ-ეს მე არა ვარ და ამისათვის; როდესაც მიიღოთ წერილი, ან ვინმე მოგზავნილი კაცი დახმარების სათხოვნელად მოექცეთ ისე, როგორც ავანტიურისტებს. საშუალება არა მაქვს ყველა გაზეთებში გამოვაცხადო და ამისათვის ამ განცხადებასთან ერთად მიიღეთ ჩემი მწუხარებაც.

ი. მჭედლიშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს სახალხო ბანკის
გამგეობა

თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა 12 დეკემბრის თარიღით ამით აცხადებს

კლიენტების საყურადღებოთ,

რომ იმ პირთ, ვინც გადააცილა ვალის შემოტანის დრო,

შეუძლიათ ვალი გადიხადონ ქართული ბონებით ამა წლის ოცდა ათ დეკემბრამდე

ამის შემდეგ კი, თანახმად მთავრობის დადგენილებისა **№ 61** თარიღით, მათ ვალი გადახდებათ ოქროს იმ კურსით, რომელიც იყო ვალის გასავალის დღეს.

ეს განკარგულება არ ვრცელდება იმ კლიენტებზე,

რომელთაც მიცემული აქვთ ბანკისადმი ვალდებულება ოქროთი ვალის გადახდის შესახებ.

4—2 სახალხო ბანკის **გამგეობა.**

განცხადება
სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ საგანგებო კომისიისა.

თანახმათ სრულიათ საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა (№ 95, 7 დეკემბერს 1922 წ.) სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია აცხადებს ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ შემდეგს:

1. სახლის პატრონებს, ან მათ რწმუნებულთ ევალებათ გადამხდელთა სიების სასწრაფოთ შედგენა, როგორც ეს აღნიშნულია ქალ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილებაში ა. წ. 19 დეკემბრის თარიღით № 15.
2. თითეულ სახლში უნდა შედგეს 5 სია: ა) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც იღებენ ჯამაგირს მე-9 კატეგორიამდე ჩათვლით, ბ) მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც იღებენ ჯამაგირს 9 კატეგორიაზე ზევით, გ) ვაჭარ-მრეწველებზე, დ) დანარჩენ მოქალაქეებზე და ე) იმ პირებზე, რომლებიც დეკრეტის ძალით განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან.
3. სიები უნდა შედგეს [illegible] ნიმუშის მიხედვით:

№№ რიგ.	გვარი, სახელი და მამის სახელი.	რას აკეთებს.	სამოქალაქო გადასახადი ოქროთი.	შენიშვნა

4. მუშა-მოსამსახურეებს და გადასახადისაგან განთავისუფლებულებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული მოწმობები პროფკავშირებიდან და სათანადო დაწესებულებებიდან.
5. სიები, პირადობის მოწმობები და სპეციალური მოწმობები სახლის წიგნებთან ერთად უნდა იქნენ წარმოდგენილი სათანადო კომისარ. სამისამ. მაგიდაში შეკრებილ გადასახადის თანხასთან ერთად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ მუშა-მოსამსახურეები სიების შედგენის დროისთვის ვერ მოასწრებენ მოწმობების აღებას, მუშა-მოსამსახურეებზე კი უნდა სიები უნდა შედგეს დანარჩენებზე. შედგეს დამატებითი სიები.

6. ფულის კურსი და დრო სიების წარმოდგენისა იქნება გამოცხადებული ცალკე.

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიის თავმჯდ. **ვ. კიკნაძე.**
2—2 კომისიის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი **ა. რუხაძე.**

შეჯიბრება
ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების რკინის გზათა სამმართველოსაგან.

ამით ცხადდება, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან (ტფილისი, ვაგზლის ქ. № 1. ოთახი № 44) 1922 წ 20 დეკემბერს საქართველოს რკინის გზებზე.

ბათომ-ფოთი და კახეთის ხაზიდან სადახლომდე და სანაინამდე, და ა. წ. 25 დეკემბერს აზერბეიჯანის რკინის გზებზე სადახლოდან არამლინსკის სადგურამდე დანიშნულია

შეჯიბრება ტვირთზიდვის—დატვირთვის გადმოტვირთვის, ხელახალი დატვირთვის სამუშაოების და ბარგის და ტვირთების

დაცვის და მგზავრების სამსახურისათვის მუშების (НАСИЛЬЩИК) დაქირავების იჯარით გაცემა 1 იანვრიდან 1923 წ. 31 დეკემბრამდე.

ის პირები, რომელთაც სურთ აღნიშნულ სამუშაოების [illegible] წარადგინონ ამის შესახებ წერილობითი განცხადების დაბეჭდილ კონვერტებში შესახებ წერილობითი განცხადების დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგი ზედწარწერით: „ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს შეჯიბრებისათვის ტვირთზიდვის სამუშაოების იჯარით ასაღებად".

განცხადებათა შეტანის უკანასკნელი ვადა საქართველოსათვის თავდება 1922 წ. 20 დეკემბერს, აზერბეიჯანისათვის 25 დეკემბერს დღის 12 საათზე.

განცხადებებში მონაწილეს სახელის, მამის სახელის და გვარის გარდა უნდა იქნას აღნიშნული ასაღებ სამუშაოს ყოველგვარი პირობები და მათი გვარები.

ხელშეკრულების დადების დროს აღნიშნულ სამუშაოების კეთილსინდისიერად წარმოების და ტვირთებისდაცვის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულობის დამდებმა უნდა შეიტანოს საწინდარი საქართველოსთვის —2,000,000,000 (ორი მილიარდი მანეთი ქართული ფულის ნიშნებით) **ხოლო აზერბეიჯანისათვის**—15,000,000,000 მან. (თხუთმეტი მილიარდი მანეთი, აზერბეიჯანის ფულის ნიშნებით), ან სათანადო ვალიუტა კურსის მიხედვით).

განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი ქვითარი წინასწარი საწინდარის 20 პროცენტის შეტანის შესახებ.

საწინდარი იმ პირთა, რომელთაც არ მიეცემათ სამუშაოები ეკონომიურ ნაწილში ქვითარის წარდგენისთანავე დაუყონებლივ დაუბრუნდებათ უკანვე.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ ნაწილში საქონელ სადგურის განყოფილებაში ოთახი № 60 ყოველ დღე დილის 10—1 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

სამმართველო.

მეცხვარეთა მხანაგობა
„მწყემსი"-ს
გამგეობა

აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ **1923** წლის **23** იანვრისათვის (ძველი სტილით **10** იანვარი), ქალაქ ტფილისში დილის **10** საათზე დანიშნულია

რწმუნებულთა წლიური
კრება

თანახმად წესდების მე-**19, 21, 24** და **25** მუხ. განსახილველია:

1. ანგარიშების დამტკიცება 1921 წლ. პირველ თიბათვიდან 1922 წლის პირველ მაისამდის.
2. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მომავალი მოქმედების გეგმა და [illegible] ხარჯთ-აღრიცხვა.
4. საბჭოს დებულება და წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა და დამატება.
5. გასამრჯელოს დანიშვნა გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებისთვის.
6. ინფორმაცია ანგარიშების მდგომარეობისა 1922 წლ. I თიბათვიდან 1923 წლ. იანვარამდის, საძოვრების საკითხი საქართველოში და სხვა მიმდინარე საკითხები.
7. ახალი წევრების დამტკიცება.
8. გამგეობის წევრის არჩევა თანახმად წესდების მე-31 მუხლ., კ. ნ. აფხაზის მაგიერ.
9. საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები თანახმად წესდების მე-39 მუხლ.

თუ წესდების 24 და 25 მუხლების თანახმად, დანიშნულ დღეს, წევრთა აღნიშნულ რიცხვთა დაუსწრებლობის გამო, კრება არ შესდგა, კრება მოწვეული არის 24 იანვრისთვის (ახალი სტილით), დილის 10 საათზე იმავე საკითხების განსახილველათ, და ეს კრება კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

„მწყემსი"-ს გამგეობა.

მე-6 სტამბა ს. მ. უ. ს. პოლიგრაფგანყოფილების ლენინის ქ. 3.